

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის
ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების
ა ნ გ ა რ ი შ ი**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობების მიმდინარე დაზუსტებული გეგმა 2 189 524 ლარი, ფაქტიურ შემოსავლებმა კი შეადგინა 1 949 228 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 89%-ით.

გადასახადების გეგმა განსაზღვრული იყო 498 898 ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 127334 ლარი ანუ 25.5%-ით, სხვა შემოსავლების გეგმა შეადგენდა 320401 ლარს, შესრულებამ შეადგინა 464412 ლარი, ანუ 150%.

გარდა ადგილობრივი შემოსავლების და სხვა შემოსავლებისა, ადგილობრივ ბიუჯეტში დაგეგმილი იყო აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 1370 225 ლარს, ფაქტიურად მიღებულია 1213323 ლარი ანუ 88.5%. ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი მიღებულია 388025 ლარი.

განვიხილოთ შემოსავლები სახეების მიხედვით - ქონების გადასახადის პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 228900 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 74194 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 32.4%-ით. ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გეგმა შეადგენდა 1600 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 3568 ანუ გეგმა შესრულდა 223%, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმა 24700 ლარი, შესრულებამ შეადგინა 8126 ლარი ანუ 32.9%, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმა შეადგენდა 14000 ლარს შესრულებამ შეადგინა 72682 ლარი ანუ 519.2 %. საშემოსავლო გადასახადის პირველი კვარტლის გეგმა განსაზღვრული იყო 269998 ლარი ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 53140 ლარი ანუ 19.7%.

სხვა შემოსავლების 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 320401 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 464412 ლარი, ანუ 119,1%. მათ შორის:

- შემოსავალი სესხის, დეპოზიტის, ვექსელის და სხვა სახის პროცენტებიდან (სარგებელი) პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა ფაქტიურად შესრულებამ შეადგინა 43036 ლარი ანუ 86,1%
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან გეგმა შეადგენდა 16000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 44431 ლარი, ანუ 277,7%;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან გეგმა შეადგენდა 7700 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ კი შეადგინა 8829 ლარი, ანუ 114,7%
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გეგმა შეადგენდა 60001 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 48904 ლარს ანუ გეგმა შესრულდა 81,5 %-ით.
- შემოსავლები არაფინანსური აქტივებიდან გეგმა არ იყო დაგეგმილი ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 144159 ლარი. იხილეთ დანართი №1.

2018 წლის ხარჯვითი ნაწილის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3 241 980 ლარს, ფაქტიურად საკასო შესრულებამ შეადგინა 2 666 012 ლარი, გეგმა შესრულდა 82,2% -ით. იხილეთ დანართი №2. №4

მათ შორის დარგობრივად:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 790 120 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 680899 ლარს, ანუ გეგმა შესრულდა - 86,2%-ით.

მათ შორის **სარეზერვო ფონდის ხარჯვით ნაწილმა პირველ კვარტალში შეადგინა 52 185 ლარი.** სულ სარეზერვოდან ფონდიდან პირველ კვარტალში დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის მასშტაბით 139-ოჯახს მათ შორის: სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 15-ოჯახს ბინის ქირის გადასახადისათვის 9300ლარი, სიღარიბს ზღვარზე მყოფ 11-ოჯახს გაეწია დახმარება 3300ლარი, მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 113-ოჯახს გაეწია დახმარება 39585 ლარის ოდენობით. - იხილეთ დანართი №3.

თავდაცვის სფეროში:

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 22 920 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 20 439 ლარს, ანუ 89,2%.

ეკონომიკური საქმიანობა

პირველი კვარტლის გეგმა იყო დაგეგმილი 59973 ლარი ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 59495 ლარი ანუ 99,2%.

-გარემოს დაცვა

პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 262081 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 126715 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 48,3 %,

საბინაო კომუნალური მეურნეობა

-პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 846831 ლარს, საკასო შესრულება კი 665182 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 78,5%-ით მათ შორის;

წყალმომარაგების ღონისიებებზე პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 660279 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 500517 ლარი, ანუ ანუ გეგმა შესრულებულია 75,8%.:

-გარე განათებაზე პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 79070 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 69870 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 88,4%.:

-ჯანდაცვის სფეროში

ჯანდაცვის სფეროში არის 7-(შვიდი) მიზნობრივი პროგრამა, აღნიშნული პროგრამების პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 70284 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 54341ლარი, ანუ 77,3%.

დასვენება კულტურა და რელიგიის სფეროში

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 181315 ლარს, საკასო შესრულება კი 166725 ლარი ანუ 92%, მათ შორის:

- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 62123 ლარს, საკასო შესრულება კი 59114 ლარს, ანუ 95,2%: მათ შორის: მომსახურება კულტურისა სფეროში გეგმა შეადგენდა 113692 ლარს, საკასო შესრულება კი 102592 ლარს, ანუ 90,2%.

განათლების სფეროში

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 882548 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 780769 ლარი, ანუ 88,5%, მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდა - გეგმა შეადგენდა 685925 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 634002 ლარს ანუ გეგმა შესრულებულია 92,4%-ით,

- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში გეგმა შეადგენდა 196623 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 146767 ლარი. ანუ გეგმა შესრულებულია 74,6 %.

- სოციალური დაცვის სფეროში

- პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 97207 ლარი, ფაქტიურ საკასო შესრულებამ შეადგინა 82747 ლარი, ანუ 85,1%, მათ შორის:

- სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას (უფასო სასაფლაოები) – გეგმა შეადგენს 5782 ლარს, საკასო შესრულება კი – 5782 ლარს ანუ 100%.

- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში გეგმა შეადგენდა 91425 ლარს, შესრულება კი 76965 ლარს, ანუ 84,2%.

ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 1 973 134 ლარს . ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 1 256 350 ლარი.

რაც შეეხება აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელს 82,2% რომელიც შესრულებულია პირველი კვარტლის მდგომარეობით დადებითია.

ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის მერი

ჯ. ვარდმანიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

ტ. ნაკაშიძე